

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

თარიღი: 2019 წლის 17 დეკემბერი
სერიის ნომერი: AGG10049C2B_01

1. ქიმიური პროდუქტის და კომპანიის იდენტიფიკაცია

პროდუქტის სახელწოდება
სინონიმი

პენტოპირადი 20 სკ / Penthiopyrad 20SC

აფეტი, APHET 20%SC, APHET 20SC, AFFET, Affet SC AFFET 20%SC, AFFET 20SC, Aphet, Aphet 20%SC Aphet 20SC, Affet, Affet 20%SC, Affet20SC, AFFET 200 SC Affet 200 SC, Penthiopyrad 200 g/l, Penthiopyrad 20% SC

პროდუქტის გამოყენება:

ფუნგიციდი

კომპანიის იდენტიფიკაცია

„მიცუი ქემიკალ აგრო“, ინკ.
1-19-1, ნიჰონბაში, ჩუო-კუ, ტოკიო
103-0027, იაპონია
ტელეფონი: +81-3-5290-2810
ტელეფაქსი: +81-3-3231-1183

Mitsui Chemicals Agro, Inc.
1-19-1, Nihonbashi, Chuo-ku, Tokyo
103-0027, JAPAN

2. საფრთხეთა იდენტიფიკაცია

ნივთიერების ან ნარევის კლასიფიკაცია გაეროს გლობალური ჰარმონიზებული სისტემის (GHS) შესაბამისად

მწვავე ტოქსიკურობა

პერორალური

არ კლასიფიცირდება

დერმალური

არ კლასიფიცირდება

კანის კოროზია/გალიზიანება

არ კლასიფიცირდება

თვალის სერიოზული დაზიანება/თვალის გალიზიანება

კატეგორია 2B

კანის სენსიბილიზაცია

არ კლასიფიცირდება

წყლის ორგანიზმების მიმართ საშიშროება

მწვავე

კატეგორია 2

ქრონიკული

კატეგორია 2

ტიკეტის ელემენტები გაეროს გლობალური ჰარმონიზებული სისტემის (GHS) შესაბამისად

საშიშროების აღმნიშვნელი პიქტოგრამა



სასიგნალო სიტყვა:

გაფრთხილება

საფრთხის აღმნიშვნელი განცხადებები

H320: იწვევს თვალის გალიზიანებას.

H401: ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის.

H411: ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის გრძელვადიანი შედეგებით.

გამაფრთხილებელი განცხადებები

პრევენცია

P264: პრეპარატის გამოყენების შემდეგ გულდასმით დაიბანეთ ხელები და სახე.

P273: პრეპარატი არ უნდა მოხვდეს გარემოში.

რეაგირება

P305 + P351 + P338:

თვალში მოხვედრისას: ფრთხილად გამოირეცხეთ წყლით რამდენიმე წუთის განმავლობაში. მოიხსენით კონტაქტური ლინზები, თუ ატარებთ და მოხსნა ადვილია. გააგრძელეთ გამორეცხვა.

P337+P313: თუ თვალის გაღიზიანება ნარჩუნდება: მიიღეთ სამედიცინო რჩევა/დახმარება.

P391: შეაგროვეთ დაღვრილი/დაფრქვეული პროდუქტი.

უტილიზაცია/განთავსება

P501: შიგთავსის ან ტარის განკარგვა/უტილიზაცია განახორციელეთ ადგილობრივი, რეგიონალური, ნაციონალური და საერთაშორისო რეგულაციების შესაბამისად.

სხვა რისკები/საფრთხეები

არ არის ხელმისაწვდომი

3. შემადგენლობა/ ინფორმაცია ინგრედიენტების შესახებ

| ქიმიური დასახელება | % w/w | (გ/ლ) | CAS No. |
|--------------------------------------|-------|-------|------------|
| პენტოპირადი (*) | 19.5 | (200) | 83675-82-3 |
| ზედაპირულ-აქტიური ნივთიერება / წყალი | 80.5 | | |

* $(RS)-N-[2-(1,3-დიმეთილბუტილ)-3-თიენილ]-1-მეთილ-3-(ტრიფტორმეთილ)პირაზოლ-4-კარბოქსამიდი$

სამუშაო ადგილზე ზემოქმედების ზღვრული მაჩვენებლები, არსებობს შემთხვევაში, მითითებულია მე-8 პარაგრაფში.

4. პირველადი დახმარების ზომები

ჩაყლაპვისას

გამორეცხეთ პირი წყლით. დაუყოვნებლივ მიიღეთ სამედიცინო დახმარება. ღებინება გამოიწვიეთ მხოლოდ სამედიცინო პერსონალის მითითების შესაბამისად. არასდროს არაფერი გადააყლაპოთ უგონო მდგომარეობაში ან კონვულსიაში მყოფ ადამიანს.

ჩასუნთქვისას

თუ თავს ცუდად გრძნობთ, დაუყოვნებლივ გადით სუფთა ჰაერზე. თუ ხველა ან სხვა სიმპტომები გამოვლინდა მიიღეთ სამედიცინო დახმარება. თუ დაზარალებული არ სუნთქავს, ჩაუტარეთ ხელოვნური სუნთქვა. სუნთქვის გამწელების შემთხვევაში მიაწოდეთ ჟანგბადი.

კანზე მოხვედრისას

დაუყოვნებლივ გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. გაისუფთავეთ კანი და ჩამოიბანეთ დიდი რაოდენობის წყლით. თუ სიმპტომები გამოვლინდა, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს.

თვალში მოხვედრისას

სასწრაფოდ გამოირეცხეთ თვალები გამდინარე წყლით. დააშორეთ ქუთუთოები თითების დახმარებით. გაისწორეთ ან მოიხსენით ლინზები, თუ ადვილად შესაძლებელია. თუ თვალის გაღიზიანება ნარჩუნდება, მიმართეთ ექიმს.

5. ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

ხანძრის ჩაქრობის ხელსაყრელი საშუალებები

ქაფი, მშრალი ქიმიური ნივთიერებები, ნახშირორჟანგი (CO₂), წყალი, ქვიშა.

ხანძრის ჩაქრობის შეუსაბამო საშუალებები
არ არის ხელმისაწვდომი.

ძირითადი საფრთხეები

ჩვეულებრივი სამრეწველო ან კომერციული დამუშავების დროს უჩვეულო აალების ან აფეთქების საშიშიშროება არ არის.

საშიში წვის პროდუქტები

აზოტის ოქსიდები, გოგირდის ოქსიდები, ჰალოგენირებული ნაერთები.

ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქციები

ზედმეტი და დაუცველი პერსონალი გაიყვანეთ ხანძრის კერიდან შორს. შეწყვიტეთ ელექტროენერჯის მიწოდება, თუ ეს შესაძლებელია. თუ შესაძლებელია პროდუქტის ტარა (კონტეინერები) გაიტანეთ უსაფრთხო ადგილზე. შეინახეთ კონტეინერები და გარემომცველი არე გააგრილეთ წყლის შესხურებით. ხანძარს ებრძოლეთ ქარის მიმართულების საწინააღმდეგო მხრიდან მხრიდან.

ხანძარსაწინააღმდეგო დამცავი აღჭურვილობა

მეხანძრე პერსონალისთვის აუცილებელია სუნთქვის ორგანოებისა და თვალის დამცავი საშუალებების გამოყენება. სრული დამცავი აღჭურვილობა და ავტონომიური სასუნთქი აპარატი (SCBA) უნდა იქნეს გამოყენებული ყოველთვის შენობის შიგნით ხანძრის შემთხვევაში და ღია სივრცეში ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხანძრის დროს.

6. ღონისძიებები შემთხვევითი დაღვრის/გაფანტვის დროს

პირადი უსაფრთხოების ზომები და საგანგებო პროცედურები

გაფრთხილეთ და აუცილებლობის შემთხვევაში მოახდინეთ მეზობელ ტერიტორიაზე ევაკუაცია. ზედმეტი და დაუცველი პერსონალი გაიყვანეთ სახიფათო ზონიდან შორს. გამოიყენეთ შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, როგორც ეს მითითებულია მე-8 პარაგრაფში. გაიტანეთ აალების ყველა წყარო. შეაჩერეთ გაჟონვა, თუ ეს პირადი რისკის გარეშე არის შესაძლებელი.

გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები

პრეპარატი არ უნდა მოხვდეს გარემოში.

გავრცელების ლოკალიზაციისა და დასუფთავებისათვის საჭირო მასალა და მეთოდები

დაღვრილი პროდუქტი მოაგროვეთ ან დაფარეთ მშრალი მიწით, ქვიშით ან სხვა არაალებადი მასალით და გადაიტანეთ უტილიზაციისათვის განკუთვნილ დალუქვად კონტეინერებში. მასშტაბური დაღვრა/გაჟონვა: შემოავლეთ თხრილი/ააგეთ ჯებირი დიდ მანძილზე დაღვრილი სითხის წინ, მოგვიანებით უტილიზაციის მიზნით.

7. გამოყენება და შენახვა

გამოყენება

ტექნიკური ღონისძიებები

გამოიყენეთ მხოლოდ სათანადო განიავების პირობებში.

იქ სადაც არის აალების და აფეთქების საშიშროება, გამოიყენეთ აფეთქებაუსაფრთხო ელექტრო მოწყობილობები და მიიღეთ ელექტროსტატიკური მუხტის დაგროვების საწინააღმდეგო ზომები. გამოიყენეთ შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. მოარიდეთ სითბოს წყაროებს, ნაპერწკლებს, ღია ცეცხლს, ცხელ ზედაპირებს და აალების ყველა წყაროს.

უსაფრთხოების ზომები

მოიხმარეთ სიფრთხილით. არ შეისუნთქოთ მტვერი. მოერიდეთ კანზე, თვალში და ტანსაცმელზე მოხვედრას. მიიღეთ უსაფრთხოების ზომები სტატიკური ელექტრობის განმუხტვის წინააღმდეგ.

შრომის ზოგადი ჰიგიენის შესახებ ინფორმაცია

სამუშაო ადგილთან ახლოს უზრუნველყავით ხელისა და თვალის დასაბანი პუნქტები. გამოყენების შემდეგ გულდასმით დაიბანეთ ხელები. დასვენებისათვის განკუთვნილ ტერიტორიაზე შესვლამდე მოშორეთ

დაბინძურებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. არ ჭამოთ, არ დალიოთ ან არ მოწიოთ თამბაქო პრეპარატის გამოყენების დროს.

შენახვა

შენახვის პირობები

შეინახეთ სითბოს, ღია ცეცხლისა და აალების ყველა წყაროებისგან შორს. შეინახეთ გრილ, ბნელ და კარგად განიავებად სათავსოში. გამოყენებამდე პროდუქტი შეინახეთ ჰერმეტიკულად თავდახურულ და დალუქულ ტარაში. არ დააბინძუროთ სხვა პესტიციდები, სასუქები, წყალი, საკვები პროდუქტები ან ფურაჟი შენახვისა და უტილიზაციის დროს.

შესაფუთი მასალები

პლასტმასის კონტეინერი.

8. ექსპოზიციის კონტროლი/პირადი უსაფრთხოება

სამუშაო ადგილზე ექსპოზიციის ზღვრული მაჩვენებელი

არ არის დადგენილი ამ ნივთიერებისათვის/ პროდუქტისათვის.

საინჟინრო კონტროლი

უზრუნველყავით საერთო განიავება. რეკომენდებულია დახურული სისტემის ან ადგილობრივი გამწოვი ვენტილაციის გამოყენება. სამუშაო ადგილთან ახლოს უზრუნველყავით უსაფრთხოების შხაპი და თვალის ამოსარეცხი პუნქტი.

ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

თვალეების/სახის დაცვა

დამცავი სათვალე, სახის ფარი.

კანის დაცვა

ხელების დაცვა

ქიმიური ნივთიერებების მიმართ მედეგი (გაუმტარი) ხელთათმანი.

სხეულის დაცვა

დამცავი ჩაფხუტი, სპეცტანსაცმელი, დამცავი ჩექმები.

სასუნთქი ორგანოების დაცვა

რესპირატორი/ ნიღაბი ქიმიური კარტრიჯით.

9. ფიზიკური და ქიმიური თვისებები

გარეგნული სახე:

რძისებრი თეთრი სითხე

სუნი:

სუსტი ტკბილი

სუნის შეგრძნების ზღვარი:

არ არის ხელმისაწვდომი

pH (1%, 25°C):

7.11

ლღობის ტემპერატურა:

არ არის ხელმისაწვდომი

დუღილის საწყისი წერტილი და

არ არის ხელმისაწვდომი

დუღილის დიაპაზონი:

> 230°F (>110°C) [არ კლასიფიცირდება]

აალების ტემპერატურა:

არ არის ხელმისაწვდომი

აორთქლების სიჩქარე:

არ არის ხელმისაწვდომი

აალებადობა:

არ არის ხელმისაწვდომი

აფეთქების ან აალების ზედა/ქვედა ზღვარი:

არ არის ხელმისაწვდომი

ორთქლის წნევა:

არ არის ხელმისაწვდომი

მოცულობითი სიმკვრივე (23°C):

1.054 გ/სმ³

ხსნადობა:

სუსტად იხსნება წყალში

განაწილების კოეფიციენტი ნ-

არ არის ხელმისაწვდომი

ოქტანოლი/წყალი:

სიბლანტე (წანაცვლების სიჩქარე 0,5-100):

6560-197.6 ს სანტიპუაზი 23°C-ზე, 4720-156.8 სანტიპუაზი 40° C-ზე

თვითაალების ტემპერატურა:

არ არის ხელმისაწვდომი

10. სტაბილურობა და რეაქტიულობა

ქიმიური სტაბილურობა

სტაბილურია ნორმალურ პირობებში.

სახიფათო რეაქციები

რეკომენდაციების შესაბამისად შენახვისა და გამოყენების დროს სახიფათო რეაქციები არ არის ცნობილი.

ასარიდებელი გარემოებები

არ არის ხელმისაწვდომი.

შეუთავსებელი მასალები

არ არის ხელმისაწვდომი.

საშიში დაშლის პროდუქტები

აზოტის ოქსიდები, ჰალოგენირებული ნაერთები.

11. ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია

მწვავე ტოქსიკურობა

| | | | |
|-------------|----------|---------------------|------------------------------------|
| პერორალური | ვირთაგვა | LD50 >5000 მგ/კგ | [არ კლასიფიცირდება] |
| დერმალური | ვირთაგვა | LD50 >5000 მგ/კგ | [არ კლასიფიცირდება] |
| ინჰალაციური | ვირთაგვა | LC50 >2.87 მგ/ლ/4სთ | [კლასიფიკაცია არ არის შესაძლებელი] |

კანის კოროზია/გალიზიანება

| | | |
|----------|-------------------------|---------------------|
| კურდღელი | არ არის გამაღიზიანებელი | [არ კლასიფიცირდება] |
|----------|-------------------------|---------------------|

თვალის სერიოზული დაზიანება/გალიზიანება

| | | |
|----------|-------------------------|----------------|
| კურდღელი | საშუალო გამაღიზიანებელი | [კატეგორია 2B] |
|----------|-------------------------|----------------|

რესპირატორული სენსიბილიზაცია

| | |
|-----------------------|------------------------------------|
| არ არის ხელმისაწვდომი | [კლასიფიკაცია არ არის შესაძლებელი] |
|-----------------------|------------------------------------|

კანის სენსიბილიზაცია

| | | |
|------------|-------------------------------|---------------------|
| ზღვის გოჭი | არ არის კანის სენსიბილიზატორი | [არ კლასიფიცირდება] |
|------------|-------------------------------|---------------------|

სასქესო უჯრედების

| | | |
|--------------|-----------------------|------------------------------------|
| მუტაგენურობა | არ არის ხელმისაწვდომი | [კლასიფიკაცია არ არის შესაძლებელი] |
|--------------|-----------------------|------------------------------------|

კანცეროგენული მოქმედება

| | |
|-----------------------|------------------------------------|
| არ არის ხელმისაწვდომი | [კლასიფიკაცია არ არის შესაძლებელი] |
|-----------------------|------------------------------------|

რეპროდუქციული ტოქსიკურობა

| | |
|-----------------------|------------------------------------|
| არ არის ხელმისაწვდომი | [კლასიფიკაცია არ არის შესაძლებელი] |
|-----------------------|------------------------------------|

სპეციფიკური მიზნობრივი ორგანოს

| | | |
|----------------------|--------------------------------------|------------------------------------|
| ერთჯერადი ექსპოზიცია | ტოქსიკურობა არ არის ხელმისაწვდომი | [კლასიფიკაცია არ არის შესაძლებელი] |
|----------------------|--------------------------------------|------------------------------------|

განმეორებითი ექსპოზიცია

| | |
|-----------------------|------------------------------------|
| არ არის ხელმისაწვდომი | [კლასიფიკაცია არ არის შესაძლებელი] |
|-----------------------|------------------------------------|

ასპირაციის საშიშროება

| | |
|-----------------------|------------------------------------|
| არ არის ხელმისაწვდომი | [კლასიფიკაცია არ არის შესაძლებელი] |
|-----------------------|------------------------------------|

12. ეკოლოგიური ინფორმაცია

წყლის უხერხემლოების მიმართ საშიშროება

| | |
|--|---------------|
| მწვავე: კლასიფიცირებულია როგორც კატეგორია 2, ქორჭილასნაირნი (Bluegill) LC50-ის | [კატეგორია 2] |
|--|---------------|

საფუძველზე

| | |
|---|---------------|
| ქრონიკული: შეიცავს პენტოპირადს (კატეგორია 1, M = 1) | [კატეგორია 2] |
|---|---------------|

| | | |
|--|-----------------------------|------------|
| ეკოტოქსიკურობა | | |
| <i>Bluegill</i> (ქორჭილასნაირნი) | LC ₅₀ (96სთ) | 5.7 მგ/ლ |
| <i>Daphnia magna</i> (წყლის რწყილი) | EC ₅₀ (48სთ) | 12 მგ/ლ |
| წყალმცენარეები (<i>Pseudokirchneriella subcapitata</i>) [პენტოპირადი] | ErC ₅₀ (0-72 სთ) | 28.7 მგ/ლ |
| კობრი | LC ₅₀ (96 სთ) | 0.568 მგ/ლ |

ოზონის შრის მიმართ საშიშროება

ეს პროდუქტი არ შეიცავს $\geq 0,1\%$ -ზე მინიმუმ ერთი ინგრედიენტს, რომელიც ჩამოთვლილია მონრეალის ოქმის დანართებში. [კლასიფიკაცია არ არის შესაძლებელი]

13. განკარგვა/უტილიზაცია (ნარჩენების განკარგვა)

ნარჩენი პროდუქტის ნარჩენები

ნარჩენები უნდა განთავსდეს ადგილობრივი, რეგიონალური, ნაციონალური და საერთაშორისო რეგულაციების შესაბამისად.

დაბინძურებული ტარა

უტილიზაციამდე მთლიანად დაცალეთ ტარა.

14. ტრანსპორტირების შესახებ ინფორმაცია

UN (გაერო)

| | |
|--------------------------|--|
| საშიშროების კლასი: | 9 |
| UN (გაეროს) ნომერი: | UN3077 |
| გადაზიდვის სახელი: | ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, სითხე. n.o.s. (პენტოპირადი ნარევი) |
| შეფუთვის ჯგუფი: | III |
| საზღვაო დამაბინძურებელი: | კი |

სიფრთხილის განსაკუთრებული ზომები ტრანსპორტირებისას.

დარწმუნდით, რომ პროდუქტის ტარას არ აქვს ნაჩხვლეტი ან არ ჟონავს. არ დაუშვათ უხეშად მოპყრობა ან დაყრა. თავიდან აიცილეთ ტვირთის გროვების გადმოყრის შესაძლებლობა.

15. მარეგულირებელი ინფორმაცია

ეს პროდუქტი არის ინსექტიციდი.

მოქმედი კანონებისა და წესების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომხმარებელს.

16. დამატებითი ინფორმაცია

ინფორმაციის წყარო: შიდა მონაცემები

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, აქ წარმოდგენილი ინფორმაცია არის სწორი, თუმცა ჩვენ არ შეგვიძლია ავიღოთ რაიმე პასუხისმგებლობა ამ ინფორმაციის სიზუსტის ან სისრულის თაობაზე.

ნებისმიერი პრეპარატის ვარგისიანობის საბოლოო განსაზღვრა არის მხოლოდ მომხმარებლის პასუხისმგებლობა. ყველა პრეპარატი შეიძლება იყოს უცნობი საფრთხის შემცველი და შესაბამისად სიფრთხილით უნდა იქნეს გამოყენებული. მიუხედავად იმისა, რომ აქ არის აღწერილი გარკვეული საფრთხეები, ჩვენ არ ვიძლევიტ გარანტიას, რომ მათ გარდა არ არსებობს სხვა რისკები.